


ქრონიკული
გიგლიოტიკა

სიამაობა



დიდი სტალინის მზით განათებულს
გზას არასოდეს არ გადახარა...
შესწავიბა ცემა გულმა ქვირფასმა
და დაისაბა ღრუმა მწუსხარად...

უსაბეჭაქენი და მკვეთრი ნება...
მუღამ იგებლი უდიდეს ბრძოლებს.
და მომავალი უნეს გმირულ სახელს.
ვით ქლავის ღრუხას თან გაიხოლებს.



ენუქა ბიუჩქი ცროცკი



კონტრრევოლუციური ტროცკისტული „პარალელური ცენტრის“ მონაწილე-თა გამოაშკარავების შედეგად, იუდა ტროცკის მიერ გაცემული ვალდებულდებები იაპონიის და გერმანიის მთავრობის მიმართ უბრალო, ფასდაკარგულ ქაღალდების ნაფლეთებად იქცნენ.

იყო ერთი შოქალაქე გაიძვერა, სალახანა, არც თესავდა, არცა მკიდა, არც არასდროს უხნავს ყანა,

ყო გაქნილ - გაცვეთილი ყოვლის მდომი, არის მქონე, უპირო და სულმდაბალი, ზვიადი და თავმომწონე.

ლაყობდა და გეგმებს თხზავდა განდიდების აზრით, მიზნით, რომ კვდებოდა სარეცელთან შემოუსხდნენ „ყრმანი მისნი“.

და შესძახეს: — ვხედავთ მამი, ზეცა რისხვით შემობრუნდა, საიქიონ ემგზავრები ჩვენი საქმე მიდის ცუდად.

ობლად გეტოვებ ენუქა-ჯან, სინათლეს სცვლის ბნელი ღამე, ენუქა-ჯან, სიკვდილის წინ თქვი, სათქმელი თუ გაქვს რამე.

ამ სიტყვებს მოსმენაზე შემობრუნდა მომაკვდავი. გაახილა თვალები და წამოსწია ოდნავ თავი.

და ლალაღჰყო: — ჩემი გულის მანუგეშოდ ზრდილებოთ. მსურს ანდერძი დაგიტოვოთ სიკვდილის წინ შევიღებოთ;

ანდერძი და რა ანდერძი... მომიტანეთ მეღანიო და ჩადექით რიგში მწკრივად სათითაოდ ყველანიო.

რომ წერის დროს სათვალავში არც ერთი არ გამოგტოვოთ. ანდერძს ვტოვებ მისთანას, რომ აშენდებით საბოლოოდ.

ეს რა ესმით „მემკვიდრებს“ სიხარულით ყური სცქვიტეს. ენუქას წინ ჩამწკრივდნენ და „გმუნდებითო“ — გადასწყვიტეს.

და ენუქა მოჰყვა წერას: „რასაც ვამბობ ამ ანდერძში უყოყმანოდ უნდა იქნეს მიყვანილი სისრულეში.“

მკვოს ვადღევ ოქროს ზოდებს, ვაბოს ჰქონდეს დიდი ზეარი,

მოიხმაროს ნაკუთრად მან როგორც თვისი მონაგარი.

ქარავენები უზღვავე ტვირთით გეოს დარჩეს სადაც იყოს. დანარჩენი მამული და შინაყემები ჰყავდეს გიგოს.

ქარვასლა ვი დიდზე დიდი, რომლის ბქენი ზეცას სწვდება, ძალით ამა ანდერძისა ჩემს უფროს შვილს საქოს რჩება.“

დაასრულა ანდერძი და კვლავ მიმართა თავის შვილებს: — ვისაც ჩემი მამობა სწამს, ანდერძს ზუსტად შემისრულებს.

— შევასრულებთ. — თქვენ შვილებმა.

და თან გულით ვაიხარეს. აღტაცება მოერიათ, თათქოს მისწვდნენ ცაში მთვარეს.

ბოლოს ჰკითხეს: — ეგ სიმდიდრე, რასაც, მამი, ჩვენთვის სტოვებ, რა ადგილს გაქვს, გვითხარ მამი, მისამართი დავგვიტოვე.

— სად მაქვს?! ეგეც მე ვიღარდო? სხვა... თქვენ თითონ გამოიხატეთ. რას ამბობენ ერთი დახეთ! მე გაძღვეთ და სხვა რა ვიცი,

თუმც ძველია ეს ამბავი და საკმაოდ ფარავს დროც კი, მაგრამ მე მან გამახსენა იუდუქა მისტერ ტროცკი.

ამ ორ გმირის ბუნებაში თუმც არსებობს დიდი ზღვარი, და მეორე პირველს წაგავს როგორც მელას ჰგავს აფთარი.


და კალამიც ვერ დახატავს თუმც აფთარ მტრის სიგველეს. მაგრამ გვანან ერთმანეთს მით, რომ აცხოვრნ სიგველებსა.

ტროცკის ფირმაც „მემკვიდრებს“ აშენებს ჰპირდებოდა. აღუთქვამდა მას, რაც მისი არასდროს არ იქნებოდა.

აღუთქვამდა ყველაფერს, რაც ოქტომბერმა მოგვიპოვა, მაგრამ მიზანს ვერ ეწია იმელები ექვა გლოვად.

და პირობის სიგველები ტროცკის ფირმის რაც გაიცხ, მტრების ხელში დღეს ენუქას ძილო ანდერძად გადაიქცა.

მეღუჯა



ენის განსაზღვრა

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომიტეტმა პლიმუტის თავმჯდომარეობით მიიღო დადგენილების სქემის პროექტის გეგმა, რომლის მიხედვით განზრახულია არჩეულ იქნეს ქვეკომისია, რომელსაც დაევალება გამოიმუშაოს ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის განსახორციელებლად ეფექტურ ღონისძიებების გეგმის პროექტის სქემა.

ამ სქემის საფუძველზე „ახლო“ მომავალში გამოიშვებულ იქნება ახლად არჩეულ სხვა ქვეკომისიების მიერ პროექტის გეგმის

სქემა, სქემის პროექტის გეგმა და გეგმის სქემის პროექტი.

ამ დეპეშის საფუძველზე ნიანგმა შეიმუშავა შემდეგი ჩქარაგამოსათქმელი:

როცა ნანძარს თვალი ხედავს, შენ რა ვესქემ-გეგვამ-პროექტება, გეგვამ პროექტ გეგმება და ვესქემ-პროექტ-გეგვამებაო.

პაპის დავა

ჩვენი საზღვარგარეთელი კორესპონდენტი ბიცი-ბიციის გადმოცემით პეტრე მოციქულმა საიქიოში პაპა პიუს მეთერთმეტისაგან რადიოდებეშა მიიღო. ამ დეპეშით „ქრისტეს



მკიმი (გერმანელ უმუშევარს): — სტომაქის დაავადების ნიშნები გაქვთ: კუჭ რენტგენით უნდა გავიშუქოთ.
 უმუშევარი: — სულ ერთია, რითაც არ უნდა გავაშუქოთ მასში მაინც ვერაფერს აღმოაჩენთ.

ციქული“ წინადადებას აძლევს სამოთხას არეს, რომ მან სამოთხის კარებში რიგგა-
 ე გაატაროს ის იტალიელი ფაშისტი
 ინავები, რომლებიც მადრიდზე ყუმბა-
 ს დაშენის დროს რესპუბლიკელების
 ნადგურებლებმა გადმოაყირავეს.
 შესთან გაცნობილი პირები ფიქრობენ,
 ამ „ლეთაებრივი“ განკარგულების შეს-
 ბა შეუძლებელია, რადგან რა კარები
 იყოს მისთანა, რომ ამოდენა „მოხა-
 ი“ ერთად გაატაროსო.

დაიკარგა

იაპონელი ლეიტენანტი ვახე-ვახე აცხა-
 დებს, რომ მან საბჭოთა კავშირის საზღვარ-
 ზე გადმოსვლის დროს დაკარგა მარცხენა
 კეზი თავის ატრიბუტებით.
 მოგონელი დიდ საჩუქარს მიიღებ!

თვითმკვლელთა

ბერლინში ვილჰელმშტრასეს ქუჩაზე აღ-
 მოაჩინეს დამხვრეალი კატის გვამი. კატას

კულის ძირთან და საერთოდ ტანის უკანა
 კიდურებზე არიული კატების ჩამომავლობის
 უტყუარი ნიშნები აღმოაჩნდა. როგორც
 ირკვევა, დახრჩობა მომხდარა რომანიულ
 ნიადაგზე. ბერლინის პოლიციის მიერ შიღე-
 ბულია სასწრაფო ზომები დამნაშავე სემი-
 ტურ კატის შესაპყრობად და უსასტიკეს სას-
 ჯელის დასადებად.



სურათი, რომელიც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ შეიძლება გამოჩაქოსად ჩაითვალოს.



„...ჩვენში ბევრი თარგმანი უგემოვნოდ და უცოდინართა მიერ სრულდება.“
ერთი კრიტიკოსის შენიშვნა.

თარგმანი ზუსტად, მაღალუტანებელი, მხატვრული ენით იყო შესრულებული, მაგალითად მელიას დილოგი ჩიორასთან:

— ლიფლიფამემ უკვე კინო-კარიერა შეიქმნა. კრიტიკაზე დრამებსა სწორს, ლიფლიფამემ კრიტიკოსის სახელი მოიხვეჭა, შენ რა უამი შეგიდგა, რომ დალაყუნობ ხესავით. ასეთი საყვედური რამოდენიმეჯერ ესროლა ცოლმა მიკიტო ფირფიტაძეს.

მიკიტომ სიტყვა ბანზე აავლო:

— რაა შე ქალო, ცუდად ვაცხოვრებ თუ?

— რა გაკლია მაინცდამაინც!

— რა მაკლია, რა მაკლია!—გააჯავრა ცოლმა, — რა მაკლია და სახელი: შეხედ ჩემს პადრუგებს—ყველა რამე დარგის ხელოვანს წაყვა, შენ კი ბულალტრობას ვერ გასცილდი!

— ხომ იცი, ბევრს ენატრება ეს სპეციალობა! მოუჭრა მიკიტომ.

— ვისაც უნდა მოენატროს, მე მინდა რომ ჩემ ქმარს შემოქმედებითი ნიჭი ანასიათებდეს. — მოუკვეთა ცოლმაც.

საკითხი პრაქტიკულად დადგა. საქმე არ ჩვეანზე მიდგა.

— მაინც რა გავაკეთო, შე ქალო?

— რა გავაკეთო და დასწერე!

— აღარ იტყვი რა დავწერო?

— რა დასწერო! რა დასწერო და დასწერე ერთი დრამა.

— ეჰ, დრამებს ხომ სწერენ და ისაა, ვინდა რომ შალვა დადიანს, შანშიაშვილს აფინოგენოვს ან კორნეიჩუკს ლუკმა წაეპრთვა?

— აბა, მაშ კომედია სცადე, — კომედია უფრო სჯობია.

— კომედიების საქმეც ასეა: თითქმის დაწერილია ყველა, ან თეატრებს საავტორო პონორარი უკვე ათი წლით ადრე აქვთ გაცემული ავანსად.

— გაი, აბა სცენარზე რას იტყვი? ხომ იცი, სცენარი პირდაპირ გაკეთებდა. მერე თუ სახელმწიფოებში რეჟისორებმაც დასდგეს...

— ვერც მაგას შეგპირდები. ვინც რეჟისორია, ქვე სწერს, ქვე სდგამს და ქვე შემოსავალი მიაქვს. ვინც სცენარისტია, იმას ხომ რეჟისორობას არაფერ მისცემს.

— მაშ იცი რას გირჩევ!

— რას გირჩევ!

— მოდი ერთი ცხრა-პონორარიანი საქმე გააკეთე.

— არ მესმის!

— არ გესმის! სად ცხოვრობ, რომ სიტყვა „ცხრაპონორარიანი“ არ გესმის?

— არ მესმის მეთქი!

— დასწერე „ერთი თავი რომანიდან“.

ჯერ ერთ გაზეთში დაბეჭდე, შემდეგ „მნათობში“ მოათავსე, მერე სახელგამში დასდე ხელშეკრულება, შემდეგ „ფედერაციაში“ მიიღე ავანსი, მერე რუსულად გადაათარგმნინე, შემდეგ რუსულიდან ისევ ქართულად სთარგმნე და სულ ასე, სანამ ცხრა გამოცემლობაში დაიბეჭდებინე.

— მერე რა?

— რა და ის, რომ ცხრაჯერ პონორარს აიღებ, ცხრაჯერ ქრონიკაში მოგათავსებენ, შენ მწერლად ჩავთვლიან და მე მწერლის ცოლს დამიძახებენ.

— ეგ ხომ ზღაპრია შე ქალო.

— არაფერი ზღაპარი არაა, რამდენი მწერალი გინდა დავისახელო რომ ასე იქცევა.

— იმათზე არ ვამბობ. ზღაპრი ისაა, რომ მე ერთი თავის დაწერაც არ შემიძლია.

— აბა რა ჯანდაბა შეგიძლიან, ქვეყანა რომანებს სწერს და ამახ ერთი თავის დაწერაც არ შეუძლია!

მწვავე პაუზა ისევ ცოლმა დაარღვია.

— იცი რა, მოდი სთარგმნე. ახლა მთარგმნელობა ხომ იცი, დიდ მოღაშია.

მიკიტომ ეს წინადადება ჭკუაში დაუჯდა. მოილაპარაკეს და დასკვნეს, რომ ქართულიდან რუსულად თარგმნა უფრო ხელსაყრელია.

— ჯერ ხალხური ლექსების თარგმნა აჯობებს, უთხრა ცოლმა, — აი მაგალითად „ჩიტი და მელია“ ავიღოთ.

მიკიტო უკამათოდ შეუდგა თარგმნას და რამოდენიმე დღის შემდეგ, მის ოჯახში შეკრებილ ამხანაგებს უკვე რუსულად უკითხავდა „ჩიტი და მელიას“.

— ჩიტი, ჩიტი ჩიორაო,
— რაო ბატონო მელიაო, —
— ერთი შვილი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ;

ცულს მოვიტან ცუნცულასა.
ხელჩოხა, წალღუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენ შვილსაცა.

მიკიტოს თარგმანში ასეა:

— პტიცა, პტიცა, პტიციცაო, —
— ჩიტი გოსპოდინ ლისიცაო.
— ოდინ პტენცა დაი ატიო
ტვიო კონეც ბლიზიცაო;

ვსიო სრაჟუ პრინესიომ. —
ტაპორუშკა, პილიცაო
ღუბა სვალომ,
ჟუბა სკალიმ
სკუშიმ შენც და შვილიცაო.

მცირე დისკუსიაში, რომელიც ამ თარგმანის ირგვლივ გაიმართა, დამწყები კრიტიკოსები აღნიშნავენ:

— მიკიტოს მთარგმნელობა ნიჭთან ერთად, ეს თარგმანი ამტკიცებს აგრეთვე ჩვენს სასწავლებლებში, რუსული ენის სწავლების სრულყოფილობასო.

ჩვენ ვერ გავიგეთ ეს მათი აღტაცება უნავერსიტეტს ეხებოდა, სადაც მიკიტომ შარშან დაასრულა სწავლა, თუ საშუალო სასწავლებელს, სადაც მან აგრეთვე დაამთავრა სწავლა. ეს კია, რომ როგორც მისი მთარგმნელობითი ნიჭი, ისე ენის სიმდიდრე ჩვენზედაც გარკვეულ შთაბეჭდილებას სტოვებს. მიკიტო იმ აზრისაა, რომ მან უკვე მიაგნო კარიერას.

ცოლი ახლა კმაყოფილია.

ზარსადანი

გულითაღი მეგობრები

ანდრო და გურამი გულითადი მეგობრები არიან. ძალიან ხშირად ერთად ატარებენ დროს. ორთავენი პოეტები. ერთმანეთს ადღეგრძელოებს ექსპრომტებს უძღვნიან: და ერთხელ, როცა ეს მეგობრები, საკმაოდ მეზარბოშებულნი, ხიდზე გადიოდნენ, ანდროს ფეხი დაუცდა მდინარეში გადავარდა. სწორედ ამ დროს ხიდზე გურამს ნაცნობი ჯებდა.

— კარგ დროს შემხვდი. ჩავიდეთ აქვე ანდროს და თითო ლიტრა დავლიოთ! — იმართა ნაცნობმა გურამს.

— შენ გენაცვალოს ჩემი თავი! — გაუხარდა გურამს.

— მიშველეთ! — ჰყვიროდა ანდრო მდინარეში.

— მიშველეთ? ეს ნაცნობი ამდენს აღარ

დამიდის და დამეკარგება ერთი ლიტრა. თანაც სადა მაქვს მიშველების თავი! — გაიფიქრა გურამმა და ამჯობინა იქვე სარდაფში ჩასვლა.

— ალბათ ის ოხერი ღვინის დასალევად ჯავიდა და მე აღარ მომეშველა. — გაიფიქრა ანდრომ და ძალღონე მოიკრიფა, რომ ნახირზე გასულიყო. მართლაც ვასკურა ტალღები და გავიდა სამშვიდობოზე.

— ასე მიყვარხარ, ჩემო მიზო. რომ უარი ვერ გითხარი. მივატოვე დასახრჩობად განწირული მეგობარი და შენთან წამოვედი. აი ამ თასით ვადღეგრძელოთ, კი არ ვადღეგრძელოთ, სულის მოსახსენებელი დავლიოთ იმ

ჩემი მეგობრის, რომელიც ახლა წიდიდან გმადვარდა და ალბათ დაიხრჩო.

— სულ არ გამოსცალო, მეც დამიტოვე ცოტა! — შემოსვლისთანავე შესძახა გურამს გადარჩენილმა ანდრომ. რომელსაც წყალი ნიაღვარივით ჩამოსდიოდა.

— გადარჩი ბიჭო? მაღლობა ღმერთს. მე ახლა ამ თასით შენს სადღეგრძელოს ვსვამდი. უთხრა გურამმა შემოსულ ანდროს.

— დავინახე, რომ თქვენ სარდაფში ჩამოდით ღვინის დასალევად და აღარ დავინახე. — უთხრა ანდრომ გურამს და ხელიდან გამოსტაცა ღვინით სავსე თასი, რომელიც ერთბაშად გადაჭკრა.

მალი.

მიქელის გამოცემა



გოკისპირულად წვიმდა. დილით თვალი რომ გაეახილე, უწინარეს მიქელი შეენიშნე. მას უკვე ჩაეცვა და საწოლზე გაშლიართულაყო. ვერ მივხვდი მე ჩამძინებოდა, თუ ის ამდგარიყო აღრე. მიქელის ოთახში ძნელი იყო ამის გამოკვლევა. მიქელი იწვა უცნაურად ჭრიჭინა საწოლზე. პაპიროს აბოლებდა, თან რალაც ყდაშე-ვეტრეცილ წიგნს ფურცლავდა.

— რას კითხულობ მიქაელ?

— არაფერს! — მომიგო მან მცირე სიჩუ-შის შემდეგ და ისევ გაშლილ წიგნს ჩააცქე-რდა, პაპიროსის ნამწვი მოსწიწკნა პირში გამოივლო. ხელი მალა ასწია, წკიპურტი აქრა და ჭერზე მიაწვდა.

— რა ჰქენი კაცო?

— რაეა? — გაიკვირვა მიქაელმა. — პირ-ველად შენიშნე? შეხედე, რა ამბავია მალა! მართლაც ბევრი რომ არავიქნება, ასზე მეტი ნამწვი იყო მიწებებული ჭერზე.

— ბიჭო, ამის მეტს არაფერს აკეთებდი?

— რა ვქნა, თუ ოთახში ვარ, ნამწვს ძირს ვერ დავადებ. მთელი დღე ჩემს გუნებაზე არ ვიქნები, თუ პირველმა გაქნევამ მიმტუნა და ვერ მივაწვებე. ხომ იცი, ყველაფერი მიჩვევაზეა.

ერთხანს კიდევ ილაპარაკა მიქაელმა. მერე ისევ ნამწვის ამბავს დაუბრუნდა. მოყვა ამა-ზე თავის თავგადასავალს.

ჭუთაისში სწავლობდა მიქაელი. მაშინ მი-წიკოს ეძახდნენ შინაურობაში. პაპიროსის მოწვევა, რათქმა უნდა, მეორე კლასიდან დაი-წყო. თეთრი ხიდის გადაღმა იდგა დიასახლის ლიზასთან. მთელს უბანს იკლებდა. განთქ-მული მოკრივე და ქვასროლია იყო. სულ ჯიბით დაჭკონდა „რაგატკა“ და კენჭებიც რომ გაუქნევდა, მეხუთე სახლის მალალ სარ-თულიდან ლიწინით ჩამოდიოდა მინები. მი-წიკომ მთელი უბანი აუჯანყა თვინიერსა და უწყინარ ლიზას. დღე ერთ იყო და. ცხრა კაცი მოუფარდებოდა ქალს აყალმაყალით. დიასა-ხლისი ბევრს ეჩიხინებოდა მრწიკოს: ჭკუაში ჩავარდით, მაგრამ მას არაფერი არ ეტყობო-და, უფრო უმატა სიცლქეს. ერთ დღეს, რო-ცა სკოლიდან ბრუნდებოდენ, მთის ძირის ქუჩაზე, მეზობლის ბავშვს ცხვირიდან ძმარი აღინა. როცა ასისხლიანებული ბავშვი ბლავი-ლით შემოუყვანეს ლიზას სახლში, ქალმა მოთმინება დაჰკარგა, დაენტო მიწიკოს, უნ-დოდა ეცხმა. მაგრამ ხელიდან გაუსხლტა, წიონის ნაპირისაკენ გასწია. დაღამებამდე წყალში ეგდო ტოლებთან, მერე ქა-ლაქში იყალა. შინ გვიან დაბრუნდა, სტერებით შეიპარა თავის ოთახში, საწოლზე გადაეშვა და პაპიროსი გააბოლა. მოულოდ-ნელად კარები შემოაღო ლიზამ. მიწიკომ უშალვე იგრძნო საფრთხის მოახლოება, პი-რში დაგუბებული ბოლი შეყლაპა, ნამწვი კი ჭერისაკენ გაიქნია. თვალი რომ მიატანა, თვითონვე გაუკვირდა, ნამწვი ყირაზე ეკიდა. გულზე მოეშვა, მეშვილად გაიფიქრა. მაგრამ უშალვე საგონიბოში ჩავარდა. შიშობდა სტელის არ გასჩენოდა ლიზას ხის სახლს. ცა-ლი თვალთ სულ ჭირს მისჩერებოდა. ლიზამ ერთხანს იქაქანა: სახლიდან გაგადებ, სკო-

ლაში დავაბეზლებ, მამას მივწერო, დამუქრა, მაგრამ მიწიკო ფინიასავით ვაგო წინ, კალ-თაში ჩაუვარდა დიასახლისს მოთინთლა ტბილი ენით და გააჩუმა ამხედრებული დე-დაკაცი. როცა ლიზა გავიდა ოთახიდან მიწი-კომ ერთი ჭიქა წყალი მასხა ჭერს. ნამწვი ჩააქრო.

— იმ ღამიდან დავეჩვიე ნამწვის ჭერზე მიწებებას. — დაასრულა მიქაელმა.

— უცნაური კაცი ხარ!

— რათა? აბა, ბიჭი ხარ და სცადე! სანამ-ლეოს დავდებ, რამდენს გავიქნევ, იმდენს მი-ვაწვებ.

— ვიცი, სანამლეო რა საქირაა. ვხედავ, ხელი გაქვს გაწაფული.

მიქაელმა იქნეული ღიმილით გადმოხე-და.

— არა ყმაწვილო, არც მაგაშია საქმე!

— მაშ?

— კარგი მონადირე ვარ და იმაში... ხომ აცი, საქართველოში მე მონადირე ვერ და-მიდგება წინ. ერთი მარცვალი საფანტი რომ ჩამიგდო თოფში, გაფრენილ სკვინჩას წავა-წყვეტ კისერს.

— მიქაელ, ცოტა ფანჯარა გამოაღე.

— რაეა, ტყუილს ვამბობ თუ?

— რა ვიცი... მეშინია შუშები არ დასკ-დეს.

— სრულ სიმართლეს ვამბობ მამის სულს გეფიცები.

— ჰო, კარგი, მაგრე იყოს! შენ ეს მითხა-რი, დღეს ოთახიდან არ გავიდეთ?

— მაგისი რა მოგახსენო. ვერა ბედავ. იქვეა ქვეყანა! რა გეჩქარება შე კაცო... ხვა-ლაც ამ თეისაა. ექსკავატორზე მაინც ვერ გახვალ ამ წვიმაში. ყველა ბაილები აივსე-ბოდა წუხანდელ ნიაღვარში, არც ერთი მე-ნავე არ გამოგყვება ვიღრე არ გამოიღარებს მოდი, უმჯობესია აქ შევიქცითოთ თავი. მე გამოცანებს გეტყვით, შენ კი ახსენი. ეს მაინც იმდენი ვიცი, შეიდლდეღალამეს არ გამოიმე-ლევ.

— რა დროს გამოცანები და ზღაპარია ამ დილით?

— არც შენ იცი და არც მე ყმაწვილო. დილაა თუ საღამოა ახლა. არ მესმის, გამო-ცანების ახსნას დღე რას უშლის?

მართლაც, გულბოდანით წვიმდა. ქუჩაზე გამოსვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. რა გზა მქონდა, უნდა მიმელო მიქელის წინა-დადებ. ეს ერთადერთი საშუალება იყო დროის მოსაკლავად და გულშემზარავი წვი-მისაგან გამოწვეული მელანქოლიური გან-წყობილების გასაფანტავად.

— მაშ, კარგი — თქვი რა გამოცანაა.

— ერთის პირობით, აუცილებლად უნდა ახსნა.

— თუ ვერ ახსენი?

— საწინდარი უნდა მომცე... ხომ იცი მე-გრული ჩვეულება.

— სამოთხის გასაღები?

— არა, მაგი ვის რა ვშმაკად უნდა ახლა! სხვა რამე უნდა მომცე, კარგი, ამ ქვეყნიური

— ენახოთ! იქნება ახსნა და არც არაფე-რი დამჭირდეს მოსაცემათ.

— მაშ ასე ვიწყებთ... რა არის?

ოთხი ძმანი ჯორზე შეესვი, ვალაპარაკე სხვა-სხვანი, — ამის გამომცნობელსა, მკაა ექნება სახმარი.

— ესე იგი, ვინც ახსნის, შენისთანა იქნება, ჭკუის კოლოფი არა?

— ვერა, ვერ მოგართვეს ყმაწვილო ჩემის-თანა ბიჭი ქვით. მეორე არ არის დუნიაზე მიქაელი არ მოკვდეს იმის მეტი, შენ ეს ახსენი, გირჩევ. ჰა, ამდენი ფიქრი რათ უნდა ამას?

— ეს იცი რა არის?... ვერა ბიჭო, მიძნე-ლება, ვერ ახსენი.

— თითი მოკაცვე! თითი მაჩვენე! შენს სიცოცხლეში ვერ იტყვი. ტყუილია.

მიქაელი სიხარულით ცას ეწია.

— დაიცა, მომაგონდა. ენაზე მადგანს იცი რა არის?

— არაფერიც არ იცი! რას იძლევი, თქვი!

— ჩონგური ხომ არაა, ბიჭო?

— ჰა კი ყოფილხარ ყაძახი, მაგრამ ჩემის თანა მაინც არა ხარ, ტყუილია. აბა, ეს რა არის:

აჯიჯი-მაჯიჯი, ოთხი ფეხით მახიჯი, — არცა უნდა თივა-ჭერი, არც კეხი და უნაფერი.

— ეს არის... კი მაგრამ, აუცილებლად ოთხი ფეხი აქვს? არც ჭერი უნდა, არც თივა?

— ოთხი ფეხი აქვს. არც თივა უნდა, არც ჭერი, არც კეხი და უნაფერი!

— ვერა, ვერა გამოვიცანი.

— მიქაელი სიხარულმა აიტაცა.

— რას მაძლევ? ჩქარა!

— იცი რას? ქალადიდის აგარაკს, მის არხებით, დამბებით, ხორგის საავტომობილ გზატკეცილით ყორათის ნაჭაობარზე ახლა დაგეგმულ სამოსახლო მიწებით.

— მაშ, გეტყვი, — სკამია! ყური მიგდნა რა არის:

ევისა, ევისა, ხტომა დღვისა, — ხმა საზნადარისა, ჭერქი ვერხვისა.

ეს მაინც იმდენი იყო შენს სოფელში, რა დენიც სამყურა ამოსულა სამეგრელოს მთებზე და ბარის საძოვრებზე. ყოველ ფეხის გადაქმნაზე შეგხვედრია ის ძველად. თუმცა, ამხანა არც ახლა ხართ ღარიბად. ყოველ დღე გე-არც ახლა ხართ ღარიბად. ყოველ დღე გე-მის მისი ხმა.

— ვერ მივხვდი, უნდა გამოგიტყდე.

— კარგად დაფიქრდი!

— ვერა, ვერა — მიქაელ!

— რას მაძლევ? ჩქარა, მოთმინება მეცა, ვერა.

— ახალსოფლის ნაჭაობარზე ორას მოცდა ათ ჰექტარზე გაშენებულ გრეიდინგის მეურნეობას.

— მეტი რაღა გინდა შეკაცო, მთელს სკამია ქოთა კავშირში ეს ერთად-ერთი მეურნეობა ფოთში, იმასაც შენ გაძლევ. კიდევ გეცო-ვება? კოლხიდში მინა რომ გამოგოს, აქამ უ-გამასახლებს.



— ეს პოეტი პუშკინს ზამეფ
— ლექსებით?
— არა, ზაკენზარდებით.

— ცოდვა ვარ მე ნუ მოგვკვდე, უსათუოდ
და დაუმატო რამე.
— კარგი, პარკის საცდელ ფართობის გამ-
ა ამხ. პოპოვს ვესესხები მილიონნახევარ
ლ ეკვალატის სანერგეს, რომელიც ამ
წლებში გაუნაწილეს კოლხიდის რაიონებს.
საუც დაგიმატებ, გეყოფა?
— ბაყაყია! — ამის გამოცნობას რა დიდი
მე უნდა, რა უცხო მხეცი, ან შორეული
კუთხის ფრინველი ეს არის, მაგის მეტი რა
გახავს კოლხიდაში? აი, კიდევ ერთი. ესეც
ვერ ახსენი, ცოტა რამეზე არ დაგჯერ-
ებია.
— ეწერს ციცილი უკიდია,
მუხას ებრაელებს, —
თუმც არა სწავას მთელ მზარეს,
ზინც ებრაელებს.
— მიქაელი მარჯვენა ხელით დაეყრდნო ბა-
შხე და მომიღმარი სახით მომაჩერდა.
— ვერც ამას აგისხნი ჩემო მიქაელ, ტყუი-
ლ რაც გინდა მთხოვე, მოგცემ.
— შავი ზღვის რკინის გზა თავისი რკინა-
ონის ხიდებითა და ახალი სადგურებით
კიდან ინგურამდე, მოდის?
— ყაბუღსა ვარ.
— ცისარტყელაა შე კაცო. გუშინ მაინც
შენიშნე, ერთი თავით რომ პალიესტომ-
იყო ჩაყუდებული, ხოლო მეორეთი კი
მთის თოვლიან მწვერვალებს რომ ე-

ჯინა.
— მართალი ხარ მიქაელ, ეს მეც ბევრ-
ჯელ ვამიგონია.
— ვამიგონია, მაგრამ არ გახსოვს! თითი
მოკაკვე, თითი! ვის ეჯიბრები. კიდევ გინდა?
— აბა, — ჰე მიდი.
— ეს სულ უბრალოა, ახლავე მიხედები
თუ დაფიქრდები. დღეს ხელავ, გუშინაც
ნახე:
— თუ არ ვარ — გულით მელიან,
მოვალ და მემალეზიან.
— არ არის და — ველით, მოვა და-ვემა-
ლებით.
— ჰო, ამაზე ადვილი მისანვედრი რაღა
იქნება? ფოთში ამას აკენის ბავშვიც კი ახ-
სნის.
— რას ინებებთ, რა გინდა საწინდრათ.
— მაშ, ვერც ეს ახსენი, ჰა? მომეცი რაც
გინდოდას.
— მომიცია კოლხიდმშენის ექსკავატორე-
ბი, რეფულოორები, კატერპილარები. მცურა-
ვი მიწის მთხრელი ხომალდი „საბჭოთა საქა-
როველო“ და მისი სახელგანთქმული ბაგერ-
მეისტერით ალექსი რუხაია.
— ჰო, ჰო! ავშენდი პირდაპირ. მთელი
კოლხიდა ჩავიგდე ხელში. — არობროხდა
მიქაელი. — წვიმა გახლავს ყმაწვილო, წვიმა.
— ერთი რამ და დეიბი რამცა
თეთრად გადაზენტილამცა, —

ვინც ამას ვერ გამოიცნობს!
თხაც არის ბეცი რამცა.
— ვინ გამოიცნობს!
— გამოცანის მოქმელი იქნება ბეციცა და
თხაც.
— მერე, შენ ყაბუღსა ხარ?
— რატომღაც არა, მაგრამ ტყუილი იმედო
გაქვს, შენ ვერც ამას ახანი.
— პირდაპირ ვაიხედე ფანჯარაში. რას
ხელავ, არათერს?
— ცა ისარკება, ღრუბლები გადადიან.
— ჰო და — თხაც ხარ და ბეცი რამცა.
— მიქაელი არ მოელოდა ამას, ძალიან ეწყინა
დამარცხება. კიდევ ერთი, კიდევ ერთი, მა-
გრამ მე უკვე ჩავიცივი ამ ლაპარაკში და სა-
წოლს მივუახლოვდი.
— ეს რა არის? წიგნით მებრძვი? — მიქ-
აელმა გადაიხიოთხითა.
— ხელიდან გამოვგლიჯე ყდა შეცრეცილო
წიგნი. იყო აკაკის თვითური „კრებულო“-
მეთე წიგნი, გამოცემული 1898 წ. მიქაელ
თურმე სოსიკო მერკვილაძის მიერ შეკრე-
ბილ გამოცანებით მიგებდა მთელ კოლხიდას.
— ჰა, შე მართლა ქოსა ტყუილა. ეს არის
შენი ვაჟკაცობა?
— მიქაელმა ერთხელ კიდევ გადარიობრონ
თავისებურად და საწოლზე გადაკოტრილდა.
პოლ გაიღე



1 ... მივიწვევდით რა ხელისუფლებასაკენ..



2 ... წინდაწინ გავითვალისწინეთ შესაფუძვნი დანაყრდენი...



3 ... გამოვინახეთ ხერხი ნიადაგი...




4 ... და გავაბით მტკიცე კავშირი.



... გავაჩაღეთ მუშაობა ტრანსპორტზე...



6 ... მალაროებში...



7 ... მსხვილ წარმოებაში და...



8 ... ველით ახალ ღორეკ... (ბიჭოს ეს სადა ვართ?)
... მრისხანე განაჩენს... მახეში ვაბმულები...

საენა უნიკორალი

შუშანა: სპეკულიანტებთან?
 მაკრინე: დიხს!
 შუშანა: უიმე დაბიდგეს თვალეზი! ამას
 რას ვხედავ?
 მომხმარებლები (სათითაოდ გადღიან
 გარედ) პრატიქცია, პრატიქცია!
 ვ. მანთოფალი.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

სტენა წარმოადგენს თბილისის „უნივერსალის“ საეპრო დარბაზის ქვედა სართულს ხალაქ მოთავსებულია საავჯო განყოფილება. აქვე, კუთხეში დგას ერთი პატარა მაგიდა. მაგიდას უხის სექციონერი რუბენ ხაფაროვი. აქვე არიან სხვა გამყიდველებიც. დარბაზი საესეა მომხმარებლებით, ხალხი საწოლებს მისაღებად რიგში დგას.

ქეთო: მე ვიყო უკანასკნელი ქალი, თუ შავი კულაბიკა დედაკაცი გავატარო რიგს გარეშე, (დაიმკლავებს და წინ გადაუდგება ლილის).

ლილი: მოითმინეთ ქალბატონო, რომ გავიწვევით თავი და მიდიხართ, ჩვენ აქ შენზე ნაკლები ხალხი ვართ, რომ ველოდებით ჩვენ ჯერს?

ქეთო: მე 4 თვეა, რაც ველოდები ერთ საწოლის ყიდვას, როგორც იყო და ველირსე თვალთ შევხედე. საწოლს და ახლა თქვენ დაგითმობთ ჯერს?

ლილი: თუ თქვენი ნებით არ გამოხვალთ ჩიგიდან ძალით გამოგიყვანთ, თქვენ თუ 4 თვე ელოდებით მე კი 5 თვეა, რაც სისტემატურად აქ დავდივარ, მაინც ვერ ველირსე ბავშვისთვის ერთი საწოლის გამოტანას.

ქეთო: პაღუმეში ძალით გამომიყვანს! იცი ვინა ვარ? ეხლავე ჩამოდექი უკან, თორემ ვაი შენი ბრალი!

ვანუა: ბიჭო ამბარცუმ! არ დავგაიწყდეს შენი ძმა, პირის ზიარება.—აქა ვარ აქა, შენ რომ იცი, ის შემინახე ერთი 5 ცალი (მაღლა ხტება და ხელის თითებით ანიშნებს).

ამბარცუმ: კარგი, კარგი შეგინახავ! რა ფანიანი?

ვანუა: ასოთხმოცდარ მანეთიანი! (გაღის ჩიგიდან და დგება ცალკე).

ლილი: (ქეთოს) ჩემს ქმარს შენისთანა ქალები 50 ჰყავს რეგისტრატორად.

ამბარცუმ: ქალო, თქვენ რაზე ჩხუბობთ?

ლილი: მე ბავშვის საწოლი მინდა, ერთი ცალი.

ქეთო: მეც მინდა დიდის საწოლი, გთხოვთ ჩეკი გამომიწეროთ.

ამბარცუმ: თქვენ ტყუილად იცდით, საწოლები ახლა არა გვაქვს. ერთი კვირის შემდეგ შეიძლება გვექნეს... თუ დრო გაქვთ ყოველდღიურად შემოიარეთ. ეს საწოლები კი სულ გაყიდულია, მართალია დღესაც გვექნდა რამოდენიმე საწოლი, მაგრამ... უკვე გაიყიდა.

ვანუა: ამბარცუმჯან, ჩემი საწოლი გაატანე მუშას?

ამბარცუმ: ჰა-ჰა. ვანუაჯან!

ქეთო: ეს კაცი ხომ არ იდგა რიგში? საიდან მიიღო ამან ჩვენზე ადრე? აქ სულ „პრატიქცია“ ყოფილა, ნაცნობობით და მეგობრობით გააქვთ გადაყიდვებს საწოლი, მათ ბაზარზე უნდა გაიტანონ და ხვალ ჩვენ უნდა მოგვყიდონ ორმაგ ფასებში.

მომხმარებელი: მართალია, მართალი! (შეიქნა აურ-ზაური და მიტქმა-მოტქმა).

ამბარცუმ: რა ამბავია, შემოიარეთ ხვალ, ზეგ... მაზეგ. საწოლები გვექნება.

შუშანა: უი, ქაა! გუშინ იქ იდგა ერთი ვილაც ღიბიანი კაცი, იმან სამი საწოლი იყიდა და წაიღო, მე კი ერთიც არ მომცეს მეორე დღეს ის კაცი ბაზარში ვნახე, აქედან გატანილი 5 საწოლი ქონდა და ყიდა.

მაკრინე: აქედან გატანილი საწოლი მე ბაზარში ვიყიდე 360 მანეთად. ნეტა აქ რა ღირს ეს საწოლი?

შუშანა: 182 მანეთი.

მაკრინე: დამიდგეს თვალეზი, რაფა დაელუბულვარ ორმაგი ფასი მიმიცია?!

შუშანა: ნეტა აქაურმა გამყიდველებმა ეს არ იციან?

მაკრინე: როგორ არა, იციან კი არა... კარგი მეგობრებიც არიან.



ავიჯულოგის განუ. თანამშრომელი (მომხმარებლებს): ხომ უყურებთ ჩემს გამოსაწერად არ მცალია, გამეცალეთ! გამ-შორდით აქედან! უუუ! თქვენის..

უბრალო შემთხვევა

ქალაქის ვანაპირა უბანში ცხოვრობთ. ტრამვის ხაზიდან ერთი კილომეტრამდე ვართ დაშორებული. ასეთ მანძილზე ვართ კოლსაეპროდნაც.

გუშინწინ მეზობლის ოთახში ვისხედით და ქაღრაქს ვთამაშობდით. ამ დროს კარებში ვილაც უცნობი შემოვიდა.

— არჩილ აბზიანძე აქ ცხოვრობს? — იკითხა მან. შემოვიდა და თან მოზრდილი ყუთი შემოიტანა, რომელსაც თავზე სუფთა, თეთრი მარლა ჰქონდა გადაფარებული. სტუმარმა ბოდიში მოხადა.

— ძალიან უკაცრავად, ნახევარი საათი დამავგანდა, თუმცა ჩემი ბრალი არ არის, შორს ყოფილხართ, საათზე მეტია დაგეშება.

ამ მოვლენამ ძალიან გაგვიკვირა. კაცი, რომელიც ასე გულდასაწყვეტად ცხოვრობდა არასოდეს შეიძლებოდა ძახე ვინაობა კი არა, რომელმა ქარმა გადმოგდო

ჩვენი ბინისკენ—ისიც არ ვიცოდით. გაკვირვებით ვკითხეთ, თუ რა აწუხებდა მას.

— როგორ არ შევწუხდე, ნახევარ საათით დავვიანება ბევრ რამეს ნიშნავს. სტუმრები გყოლიათ და ვინ იცის როგორ გერჩებოდეთ!

სტუმარმა ყუთს მარლა გადახადა, შემწვარი გოჭი ამოიღო, ლანგარი მოითხოვა და თავისი განაგრძო:

— გოჭი ისევე ცხელია, ღვინო წითელი წამოვიღე, კონსერვები თევზისაა, ძეხვი საუკეთესო ხარისხისაა.

ამოალავა აუარებელი სურსათ-სანოვაგე, სასმელები, მაგიდაზე დაალავა, სკამი აიღო, ჩამოჯდა და ცქერა დაგვიწყო. ჩვენც კარგახანს ვუცქეროდით მას გაკვირვებულნი და ბოლოს სინამდვილე ისევე სტუმარმა დაარღვია:

— თუ გგონიათ, რომ მეც თქვენთან ერთად ვიქიფებ, ტყუილი ფიქრია. სხვაგან მი-

მეჩქარება, ისე კი ერთი ჰიქით დაგლოცავთ. —თქვა მან, ბოთლი გახსნა, ღვინო დაასხა, სადღეგრძელო სთქვა საამური ცხოვრების შესახებ, ჰიქა დასცალა და დაამატა:

— ბოდიში, გთხოვთ ანგარიში გამისწოროთ...

ანგარიში გავუსწორეთ და როცა მისი აქ მოსვლის მიზეზი გამოვკითხეთ შემდეგი გამოიჩვენა:

ვილაც მოქალაქე ჩვენს კოლპერაციას ეჭვში შეეყვანა თავისი რეკლამებით და გამოცდის მიზნით მიეტა ჩვენი მისამართი, რადგან დაჯერებული ყოფილა, რომ ასე შორს სურსათის მიტანის დაკვეთას არ შეასრულებდენ.

ეს გამოცდა გამოცდელის მოლოდინის არ გამართლებით და ჩვენი მხიარული დროს გაატარებთ დაგვირგინდა.

მთა-გივიზონი მოხდა ჩხუბი და ერთმანეთს სტუმრცნეს შუბი

სოფ. ფახულანის (წალენჯიხის რაიონი) კოოპერატივის მუშაკები დაძმობილდნენ რწყილსა და ჭიანჭველასავით. მოილაპარაკეს — რაც ფართალი და შალი მივიღოთ, მეგობრულად გავინაწილოთო.

აღნიშნული საქონლის მიღებამდე ერთმანეთის სიყვარულით დნებოდნენ. მაგრამ, აი, მიიღეს საქონელი. დაღამდა.

სოფელსაც ჩაეძინა. უმთვარო ღამე იყო. კოოპერატივში ატყდა ღრიალი. ეს შეამჩნია შემთხვევით გამვლელმა კოლმეურნემ და მეზობლებს გაავებინა: არიქა, ვუშველოთ ჩვენს კოოპერატებს! — რა ამბავია?

— ქურდები შესულან შიგ და ძარცვავენ ბივიდნენ და ნახეს:

ერთმანეთისთვის დაეცხოთ, ისროდნენ შუბს და მუშტრებსა,

თავისთვის ინაწილებდნენ და არ აძლევდნენ მუშტრებსა.

შემოხედათ სამოსი, ჩხუბი მოხვლიდათ მტრულია. ზოგიერთს სისხლი სდიოდა და ზოგს წახვლიდა გულია.

— შინაური ქურდები ყოფილან! — თქვეს სოფელელებმა და გააზავეს მოჩხუბრები.

თავმჯდომარე ისაკა, ცნობილია ის აპა,

— რითი ვარ ძველ თავადზე ნაკლები? — გაიფიქრა სოფ. ლავრისხევის (კასპის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე ისაკა ზავრადაშვილმა. როცა „პანმელის“ შემდეგ აღდა და გადახედა კოლმეურნეობის ვებერთელა მამულს, სადაც სამუშაოდ გამოსულიყვნენ კოლმეურნეები თავიანთი ცოლებითა და შვილებით. ყველაფერი ეს მან რატომღაც თავის საკუთრებად წარმოიდგინა და მოისურვა ცხენით თავადივით შემოევილო კოლმეურნეობა.

როცა ცხენზე შეჯდა, თავი ნამდვილ თავადად წარმოიდგინა, მაგრამ ამავე დროს რატომღაც არსენა ოქელაშვილობაც მოესურვა, მიუხედავად იმისა, რომ არსენა თავადებს ებრძოდა და ცოცხად ვლევების ინტერესებს. ალბად იმიტომ წარმოიდგინა თავი არსენადაც.

„შეჯდა თავის წითელ ცხენზე გააჭენა მინდორ-ველად, კოლმეურნეს ერთი ფენი მიატენა ცხენით ხელად.“

როცა კოლმეურნეობები საერთო ფონდიდან ითხოვენ დახმარებას. ისაკა თავადივით გამოიჭიმება და ასეთ პასუხს აძლევს:

— განა ყველანი მე უნდა გარჩინოთ? სადაც გინდათ, იქ იშოვეთ, ეს რა ჩემი საქმეა? სამაგიეროდ ისაკა ყველასთან როდია ასეთი მკაცრი და უღმობელი. პირიქით, ზოგჯერ თისათვის იგი მფარველი ანგელოზია.

ნახი

სამგრილი ის ბაზარში

ნახ. დონინ.



მომხმარებელი: — ტურფავ, ტურფავ აქეთ მოდი, მოაცურე ჩემსკენ წავი, სტუმრები მყავს მსურს ვიყიდო — კუბატები, ღორის თავი!

ამას წინათ სოფ. ფარცხანაყანევის კოოპერატივის საწყობს ხანძარი გაუჩნდა. მთელი სოფელი ფეხზე დადგა.

— ცეცხლი- ცეცხლი! — ყვიროდა დიდი და პატარა.

დაფაცურდნენ. — არიქა წყალი! წყალი მოგვაშველეთ! — ღისაც მუხლებში ღონე ერჩოდა ღოჭებით, ფარცლებითა და ჩაფებით გაექანენ ტებისა და დეღებებისავე.

ხმაურობაზე გამოეღვიძა კოოპერატივის ნოქარი დათიკო ჩხეიძეს, შეიჭრა კოოპერატივში და გამოაგორა ნავით საესე კასრი. ხალხმა შექმნა შრიამული და ყიყინა.

— დაიჭირეთ, მხედავთ ცეცხლზე ნავის მსხამს, ალბათ გაფლანგვა აქვს მაგ ყურმსალს..

— სახელმწიფო ჭონებას სწავეს, არ გაუშვით, გადარეულა...

ამ ალიაქოთში ჩხეიძემ რამდენიმე ვედრა ნავით უკვე შეასხა...

პოი საკვირველებავ... ხანძარმა იკლო... ნოლოს სრულიად ჩაქრა...

ხალხი სახტად დარჩა.

— ითხმოცდათვრამეტი წლის კაცი ვარ, — თქვა ერთმა ბერიკაცმა, — მარა ამისთანა სასწაული ჯერ არ მინახავს რომ ნავით ცეცხლი ჩაეჭროთ.

— ტყუილა უსაყვედურებდით ჩემო ბიძია, მაგ ბიჭს — წამოიწყა მეორემ, — ფარცხანაყანევის კოოპერატივის ნოქარი დათიკო ჩხეიძე ნავთში წყალს ურევს და ისე ყიდისო...

— ხომ გამოადგა ახლა მისი ხერხიანობა? — აბა, აბა! ძან გამოადგა! წინდახედული კაცია ჩვენი „დავით-ხანი“.

შიში-ბუჭა.



სახელგამმა გამოუშვა მაგიდის კალენდრები, რომლის ნაწილს შუაზე აქვს მავთულები გაყრილი და მოხახმარად სრულიად უვარგისია.

— რას შვრები შვილო? წიგნებს რად აფუჭებ?!
— წიგნებს კი არ ვაფუჭებ, კალენდრებს ვაკეთებ მამო!

„გამარჯვებული“

ნან. დონის

ჩხარის საშ. სკოლის შასწავლებელი აბესალაშვილი მოწაფეს ფიზიკურად „გაუღწორდა“ ცხვირის დაცემინების გამო.



— ცხვირს ვერაფერი დავაკელი, მაგრამ მისი ჯავრით ყურებს მაინც გავუღწორებ!

ცხოველების პავაჰი თბილისის საბჭოს

თბილისის საბჭომ 1987 წ. იანვარში გამოაქვეყნა დადგენილება ცხენების მოვლა-პატრონობის და მუშაობის შესახებ.

ქაღლობა და გაფრთხილება

ქაღლობა საბჭოს გულთბილი ცხენი რომ მოიხსენია, — მას შემდეგ ზოგიერთ პატრონს ჩვენი შეხედვა რცხვენია.

ბევრს სურს, რომ დადგენილებას კვლავ აარიდოს თვალთ, — არა გვაქვს თბილი თავლები. საკვები, ფეხზე ნალია.

თუ გენახავთ სადმე ყინულზე ძეტი ტვირთისგან წაქცეულს, პასუხი მაინც მოთხოვეთ ჩვენს პატრონს, ოჯახ-დაქცეულს.

საჩივარი ხარებისაგან

სხვადასხვა მშენებლობაზე ჩვენც ბევრი გვიბუშავნია. ზოგს პატრონი გვყავს ისეთი დედინაცვალზე ავია.

იმდენ ბარგს აყრის ურემზე, კამეჩიც ვერ გააქანებს. თან ხელში სახრე უჭირავს, გვეცემს, იგინება, ქაქანებს.

მიიღე საბჭო ჩვენგანა ეს მცირე საჩივარია, ის სადაც ცხენი ახსენეთ, რად დაგავიწყდით ხარია.

ქამეჩის საყვედური


სულ მოკლე ხანში მოველით ზაფხულის პაპანაქებას, ნეტავი საბჭო სად ფიჭრობს, ჩვენთვის აბანოს აგებას?

ცხენს თუ პატივი მიეცით, ჩვენც ყურადღება გვჭირია. შრომის კოდექსს თუ დაგვიწერთ, არ დაგიჯდებით ძვირია.

ქნელ-ოლლი.

შახულანის (წალენჯიხის რ.) ფოსტის
თვეზე შეტია რაც კიბე ჩამოეწრა. შეკეთ
ებაზე არავენ ფიქრობს.

როსინატი



— ოლიფანტე, შენსა მზესა,
შენი ფოსტა რარიაგია?...
— ზომ უყურებ ჩემო სვიჩა,
მიწას ფეხი არ მიღვია.

ძველი კიბე ჩამოიწვრა.
კვლავ ვერ ამიშენებია.
მალლა ბანზე გადმომდგარვარ,
ყელიც მომიღერებია.

1935 წ. თებერვალში ქვემო ქვემო ტექნიკუმის მოწაფეებმა იგაშთაყიეს დაიწვიანის თხზულებანი.

ხელისმოწერის რწმუნებულმა ვინმე სეფერთელაძემ ფული იქვე უსიტყვოდ „დააყიკვია“ მსურველებს, მაგრამ წიგნის მიღებას დღემდე არაფერი ეშველა.

ხანგრძლივი ლოდინით მოთმინება დაკარგულმა მოწაფეებმა მიმართეს სეფერთელაძეს და გულის ტკივილით შესჩივლეს წიგნის ასე დაგვიანების გამო.

— რათ გინდათ წიგნები, თვით ავტორი—
ჩარლზ ღარვინი ჩამოღის ამ დღეებში აქ. მეცნიერს განზრახული ჰქვს მთელი რიგი საჯარო ლექციები ჩაატაროს ადგილობრივ თეატრში. წარადგინეთ ხელისმოწერის ქვითრები და ლექციებზე უფასოდ შეგიშვებენ. — განუცხადა მათ სეფერთელაძემ.

მოწაფეები ფრიად ნასიამოვნება დაიშალნენ.

რჩევა-ღარიგება.

უპატივსა. მე ხობის საშუალო სკოლიში მონაგარიშე მ. ბუსქანიძე გასული წლის განმავლობაში ყოველთვიურად ხელფასის დარიგების დროს თვითფულ მასწავლებელს ვაკლებდი ოც-ოც მანეთს და ვხარჯავდი მას ჩემი პირადი საჭიროებისათვის.

გთხოვთ გამოიანგარიშოთ რა თანხა მიმიღია გასულ წელს და რა მეკუთვნის 1937 წ. განმავლობაში მასწავლებელთა ხელფასის გადიდებისთან დაკავშირებით. ჩვენს სკოლაში მსახურობს სულ 28 მასწავლებელი.

პასუხი. თუ ხობში ხელფასს თვეში ორჯერ არიგებენ გასული წლის განმავლობაში მასწავლებელთა ხელფასიდან თქვენს მიერ გაიმასქნებულა 9.200 მან., ხოლო თუ ერთჯერ არიგებთ—ამის ნახევარი ე. ი. ზუსტად 4.600 მან., 1937 წ. გეკუთვნით. მაგრამ რალა შორს მიდინართ, რაც გეკუთვნით ჩვენზე უფრო ზუსტად რაიპროკურორო მოგახსენებთ.

ნიანგი.

ბერი ენია

— მეგობარო, იცი მე წყლიდან ისევ მშრალად გამოვედი...
— როგორ? რა ამბავი შეგემთხვა...
— და მერე როგორი... მტრისას...
— საინტერესოა, რა მოხდა.
— ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი გადავწყვიტე ერთ ხალ მეგობართან გამართულ სალაშოზე წასვლა...
— მერე, მისამართი დაგავიწყდა.
— მოითმინე, საქმე სხვაგვარადაა. გზაზე გადავწყვიტე შეგსულიყავი აბანოში. შევედი, ვიყიდე ბილეთი. გავიხადე, მაგრამ არ გავსაპნულვარ, ვიფიქრე, იქნებ უეცრად წყალი შეწყდეს მეთქი, კაი ეშმაკი ვარ. ვხედავ მართლაც ერთი წვეთი წყალი არ მოღის ძთელ აბანოში... ხალხი ჩხუბობს, ღელავს, ყვირის... დაუძახეს გამგეს: — „მოქალაქეო, გთხოვთ დაიცვათ სიჩუმე, — ამბობს გამგე, — დაიცავით წესიერება, აქ თეატრის ტანსაცმელის შესანახი კამერა კი არ არის, სამ საათში წყალი იქნება...“ — ვინც გასაპნული ვართ რალა ვქნათ... — ყვირიან ყოველ მხრიდან. — „ვინც გასაპნულია, მათ შეუძლიათ იყიდონ ბუფეტში სიტრო, რომელსაც თამამად შეუძლია წყლის მაგიერობის გაწევა. გამხდარს, სამი ბოთლი ეყოფა, მსუქანს — ხუთი“. მე კი ნელნელა ჩავიციე, რადგან გაუსაპნავი ვიყავი და წყლიდან მშრალად გამოვიდი. ბედა ყველაფერი.

მიზამ ცხენი გაატყავა

— (აბაზა)

აბაზის რაიონის სოფ. კოპ, თამჯდომარე მ. ქოიავა ყოველდღე აბაზიდან სოფ. კეთილარში დადის კოპ. ცხენით სანადიროდ.

ნიანგური სალამი ქოიავა მიშას. ვხედავ კობტად მოწყობილხარ არაფერი გიშავს. შენს ებოში ნოქარი საპნის ბუშტებს ყიდის. მუშტრები კი უმადური, სულ გინებით მიღის.

გეყარებია ნადირობა, რაა დასარცხენი? ვხედავ, ტყე-ღრეს აღარ ტოვებ. სახაზინო ცხენით.

თურმე ფეხით არ კადრულობ წასვლასა და მოსვლას. ებოს ლურჯას დაღლილობის ოფლი, ქაფი მოსავს.

კეთილარის ტყეებამდე თვრამეტა ვერსიდე. უფრო მეტი რომ ვაზომო კილომეტრის წესით.

ვინ ოხერი ნადირობდე, ფრინველს მაინც კლავდ ებოს იგი ურჩევნია, თამჯდომარე ყავდე.

ვერაფერს კლავ ვხედავ, არ მოგიკლავს ყივიცა.

უშედეგო სიარულში ცხენს ვადაძვრა ტყავი.



ქპარა რომელიმე თათალითუ ვადმოხუდექუპოს. უსაქონლოდ ნუ დაგვტოვებს ლოდინი გვეყოს. გადახედე გადახუცილს ებოს დახლს და თაროს. თუ არ გინდა რომ ნიანგმა კული ჩაგაფაროს.

გაილი

ახალი აღმოჩენა

ჩვენმა თანამშრომელმა რიკრიკაძემ შემთხვევით აღმოაჩინა პოეტ ხვარასნელის გამოუქვეყნებელი ლექსი, რომელსაც აქვე ვათავსებთ.

1

არსებობს არტელი.
„მშრომელთა კვება“
საქმელებს გვიმზადებს
არ უნდა ქება.

2

ყოველდღე კეთდება
აულ ქორფა კერძები,
და ხაში რასაც დღეს
ხანთლით დაეძებენ.

3

კვებაც იაფია,
საკვებიც კარგი,
სწულთა მკურნავი
ნუგეში, მარგი.

4

შენთვის დროს არ ვინდათ
დაწელა გვერდების,
ყველა უბანშია
იმისი წერტები.

5

აჯანსაღებს სწულს
იქაური ხაში,
შეიარეთ, ნახეთ
არ ვასცვალოთ სხვაში.

ჩვენც ვუპირდებით კოვბ ხვარასნელის მოწოდებას.

„ფერი -- ფერსა“

ნან. ა. კანდელაკის



— ეს კაცი თუ ამ სახლის მმართველი არ იქნება თავს მოვიჭრი.

გერმანული ანეკდოტები

1

გერმანიის თაშისტური მთავრობის ერთ-ერთი მესვეური კონცლაგერებს კოვალეფოვობდა. მოგვსენებათ ის ამბავი: რომ თაშისტურ გერმანიაში კონცლაგერებში რაღაც დენობა უკუპრობორციულია სურსათ-სანთვაგვსთან და ბატონ მთავრობის მესვეურს, მიუხედავად იმისა, რომ ხელთ ზუსტი სია ჰქონდა კონცლაგერების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის—გზა მაინც აგებნა და საგიჟეთში შებრძანდა.

გაჭირვებაში ჩაცვივდნენ საგიჟეთის უფროსი მოსამსახურეები, არ იცოდნენ როგორ შეხვედროდნენ მოულოდნელ სტუმარს. საგიჟეთის უფროსმა ხერხი იხმარა: დაარიგა გიჟები, დაემუქრა, ეზოში გამოიყვანა და რიგზე ჩაამწყრივა.

ბატონი მთავრობის მესვეური შემოვიდა თუარა ეზოში, საგიჟეთის უფროსმა ნიშანი მისცა გიჟებს და მათაც დაშინების და დავალების თანახმად სამჯერ ზედი-ზედ წამოიყვირეს:

— ბატონს გაუმარჯოს! ბატონს გაუმარჯოს! ბატონს გაუმარჯოს!..

ძალიან გააკვირვა ამ მოვლენამ ბატონი მთავრობის მესვეური, მაგრამ ხმა არ ამოუღია. რადგან მწყრივის ბოლოში ერთი კაცი შეაჩინა, რომელიც ჩუმად იდგა და „გაუმარჯოს“ არ დაუყვირია.

— ეი, თავხედო! რატომ არ მესალმები, შენტვის სავალდებულო არ არის თუ?

— მე ვიყი არა ვარ ბატონო, მაპატიეთ, მე საგიჟეთის დარაჯი ვარ!—მიუგო განრისხებულ ბატონს ჩუმად მდგომმა კაცმა.

2

გესტაპოს აგენტებმა ერთი პატიოსანი მოქალაქე დააპატიმრეს ბერლინის ქუჩაზე. დაპატიმრების მიზეზი ის გახლდათ, რომ ზემოდნახსენები მოქალაქე რაღაც მოსწრებულ ანეკდოტებს უყვებოდა თავის მეგობრებს.

აგენტებმა გესტაპოს უფროსს წარუდგინეს დააპატიმრებული და მოახსენეს:

— გაუსწორებელი სალახანაა, რაც—კი გერმანიაში ანეკდოტი არსებობს ყველა ამის გამოგონილია!

— მართლა ყველა ანეკდოტი შენი მოგონილია?—ჰკითხა გესტაპოს უფროსმა დაპატიმრებულს.

— დიახ ბატონო, იმ ერთის გარდა. თქვენ და თქვენმა მეგობრებმა რომ მოიგონეთ.

— ის ერთი რომელია?—იკითხა გაბრაზებულმა უფროსმა.

— აი ის, რასიული თეორია, რომ არის.— მოუჭრა პატიმარმა.

გია

ძია ნიანგო!

ჩვენ, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ კიცხის სკოლის მოწაფეებს ერთი სათხოვარი რამ გვაქვს. ამას წინათ ჩვენ სკოლაში დიდის ამბით გამოცხადდნენ ხარაგოულის რადიოსადგურის მუშაკები და რიხით გამოაცხადეს, რომ მათ ისეთი საკვირველების მოწყობა შეეძლოთ, რომლითაც ვინც კი სადმე ხმას ამოიღებდა ყველაფერს გაგიგონებდით. ამ საკვირველებას რადიო უწოდეს, რადიოს დასადგმელად კი ფულები შეკრიბეს და შარშანდელი თოვლივით გაქრნენ, რამოდენიმე თვე გადის და საკვირველი აპარატი ვერსად ვიხილეთ. დაგვხმარე ძია ნიანგო-ხარაგოულის რადიო-სადგურის მუშაკებმა რადიოთი მაინც შეგვატყობინონ, თუ საით გააფრინეს ჩვენი ფული.

მოწაფეთა ჯგუფი.

ქუთაისის ბალთან

ქუთაისში მწვანე ნარგავები ეკლიანი
წავთულათაა შემოღობილი.

ნაბ. დონის



სწორედ რომ ქვების ღირსია
სასადილო „კურორტი“
მიმავრებულთა საქმელად
აქვს ბიტი და კატელნიკა.
მოქცევა მომსახურებას
თუ დაუმატებთ ამასა.
ავადმყოფს კი არა, მგელსაც
წაუზღდნს ჭამის მადლსა.
ჩვენ წავგვიხდა კითხვის მადლსა.

გუგულის (თელავი) ახირებული საქმეა
რა გილონ — გემუსიკ — გეცხლეზათ ამ
შუა ზამთარში. მაინც შევეცადეთ უქმად არ
ჩაველო თქვენს „განწირულ სულისკვეთების“
გამომზატველ ლექსს და გამოგვექვეყნებინათ
მისი სანიმუშო ნაწყვეტი:

გამოვდივარ გარეთ
აივანთან ვდგები
და მეცემა თავზე
იადონის ხმები.

ჩვენ დავავალეთ ჩვენს მხატვარს ვადმოე-
ცა თქვენს პოეტურ თავზე „იადონის ხმების
დაცემის“ ნამდვილი სურათი, ისეთი პოზით,
როგორც თქვენი ლექსის მიხედვით გავი-
თვალისწინეთ.
ინებეთ!

— წუ თუ ეკლიანი წავთულების შიშით ქუჩაში ვერ უნდა გავიარო? მშვიდობით,
ჩემო ახლად შეკერილია კაბის კალთბო...

= გოღოღი =

— შაჰულის (ქუთაისი) თქვენს ლექსში
ჩვენი ყურადღება ერთმა ტაეპმა მიიქცია,
რასაც აქვე ვათავსებთ

აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ
იქით გორასა ძვრას ვუწამ,
თუ ჩვენი საბჭო არ ფხიზლობს,
ელსადღურს ძმაო რას უწამ...

სიყვარული ვულისა,
ბარათით ვიპატაკე,
იმან გამაგულისა,
უარი რომ მატაკე.

მოგვილოცავს: ხოლად გადარჩენილხართ,
თუ კი მართალია, რასაც აქ იწერებით.

ალმასს. (ქ. ცხაკაია) იწერებით—ჩემი
ლექსი არ არის დამკამყოფილებელი, რო-
გორც შინაარსით, ფორმით, ისე სტილით,
მაგრამ ვთხოვთ ჩემს პირველ ნაბიჯს მაინც
შეაქციოთ ყურადღებაო. თქვენი მოკრძალებ-
ული თხოვნა შეიწყნარა ნიანგმა და მისი
დასტურით ვაქვეყნებთ წარმოდგენილი ლე-
ქსის ნაწყვეტს მცირე შესწორებით:

ვოუ ჩელა, ჩარი-რამა.
ჩარი-რამა ჩელაო.
ელექტრონი არ გვინათებს,
შინ და გარედ ბნელაო.

ქალაქ ცხაკაიას კეთილმოწყობის განყოფილება
თუ განათებაზე ზომებს არ ღებუ-
ლობს უკეთესი ლექსის ღირსი მაინც არ ყო-
ფილა.

მასლობელს (აქვე). ვინაიდან არ ასა-
ხელებთ დაწესებულებას, სადაც მუშაობთ
ჩვენ არ შეგვიძლია დავბეჭდოთ თქვენი მას-
ლა თქვენს გამგეზე:

შგონია თითქოს სიცივეს
არა მოიტანს ზამთარი.
რა ენადვლება. თითონ მას
ბინა აქვს შეშით გამთბარი.

საჭირო არის დაწესებულების და გამგის
ვინაობის დასახელება, თორემ მოსალოდნე-
ლია სხვა დაწესებულების გამგეებმა თავის-
თავზე მიიღონ ეს თქვენი წერილი (განა ცო-
ტა თქვენი გამგისთანა გამგე?).

ძმგველს (ს. ძეგვი, თბილისის რაიონი).
კოლპერატის თანამშრომელ ქალზე (კაჭია-
ზე). რომელსაც ფული გაუფლანგავს, გვე-
კითხებით:

ეს ამბები გამოირკვა,
დასტურია რევიზიის,
დახლის ნაცვლად ეს „ცქრიალა“
ნეტა ახლა ის ხად ზიის?

„ის სად ზიის“ არ ვიცით. ხოლო თქვენი
წერილი კი ჩვენს გოდორში ზის.

ლემონას. (წყალტუბო) მოგვყავს სანი-
მუშოდ თქვენი ლექსიდან აი ეს ადგილი:





ბობინა
მედიკალი
მედიკოსი
მედიკალი
მედიკოსი
მედიკალი
მედიკოსი
მედიკალი
მედიკოსი
მედიკალი
მედიკოსი
მედიკალი
მედიკოსი
მედიკალი
მედიკოსი
მედიკალი
მედიკოსი
მედიკალი
მედიკოსი
მედიკალი
მედიკოსი

ბაგვაშვილის საბოტა-სახეობის